კავშირი ღირებულებებსა და ეთნიკური უმცირესობების (ჩინელების) მიმართ წინარწმენას შორის

თინათინ თეთრუაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ჯავახიშვილი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი ეხება ღირებულებებსა და წინარწმენას შორის კავშირს. კვლევაში წარმოდგენილია ღირებულებებისა და წინარწმენის ცნებათა თეორიული მიმოხილვა და მათი შორის კავშირის ახსნა. მკითხველი გაეცნობა ინფორმაციას ამ თემაზე ჩატარებული კვლევებისა და მათი შედეგების შესახებ.

არჩეულია რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, კეერძოდ კორელაციური კავშირის დადგენა ღირებულებებსა და წინარწმენას შორის.

კვლევის შედეგად გამოვლინდა წინარწმენის, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი კავშირები სხვადასხვა ღირებულებებთან. აგრეთვე, დადგინდა კორელაციები თავად ღირებულებებს შორის.

კვლევის შედეგები გაანალიზებულია ამავე თემაზე, აქამდე ჩატარებული კვლევების საფუძველზე და კიდევ ერთხელ ადასტურებს და ამყარებს მათ შედეგებს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ღირებულებები, წინარწმენა, სოციალური დისტანცია.